პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 124 (3608)

26 ივნისი 1968 წ. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

ჩამოცემის 24-ე წელი.

ტალტსის მსოფლიო რეკორდი

ლენინგრადი, 25 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). შვედი გ. იუჰანსონის დაპირება, ოთხ მსოფლიო რეკორდს დავამყარებო, არ გამართლდა. მუშაც უნდა ითქვას, იგი ძალიან პერსპექტიული სპორტსმენია. არ დაგავიწყდეთ, რომ იუჰანსონმა მხოლოდ 3 წელია ძალოსნობას მოჰკიდა ხელი (მანამდე კულტურიზმს მისდევდა).

და აი, დაიწყო ქვემძიმეწონოსანთა შეჯიბრება. ტალინელმა ი. ტალტსმა აჭიმვაში 170 კგ აჩვენა, რითაც ოქროს მცირე მედალი მოიპოვა. ამ მოძრაობაში მსოფლიო რეკორდსმენმა იუჰანსონმა 167,5 კგ დაძლია და ბრძოლამ უკიდურესად დაძაბული ხასიათი მიიღო.

ატაცში შეჯიბრება ერთნაირი შედეგით დაამთავრეს ტალტსმა და ფინელმა ი. კაილაიარვიმ (150 კგ); მაგრამ ოქროს მცირე მედალი ფინელს. მიეკუთვნა ნაკლები პირადი წონის წყალობით.

ბოლო მოძრაობაზე გადასვლისას ტალტსს რეზერვში 5 კგ ჰქონდა შედეგის საწინააღმდეგოდ. მან აკვრა დაიწყო მაშინ, როცა ახალგაზრდა შვედელი ა. მამუშონის გარდა შეჯიბრება ყველა მეტოქეს დამთავრებული ჰქონდა. შემდეგ ორიეემ მსოფლიო რეკორდზე მიიტანა იერიში (მამუშონმა — იუნიორთა შორის). ტალტსმა მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მისი შედეგი — 192,5 კგ — ოქროს მცირე მედლის მოპოვებლად საკმარისი აღმოჩნდა.

სამჭიდის ჯამში ესტონელმა ათლეტმა 512,5 კგ დააგროვა და თავისივე მსოფლიო რეკორდი 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა. II ადგილზე გავიდა იუჰანსონი — 495 კგ. III — ფინელი კ. კანგასნიემი — 490 კგ.

როგორც ეწერდით, სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელს ა. ვოროხობოვს იმედი ჰქონდა, საბჭოთა სპორტსმენები მძიმე წონის ძალოსანთა ასპარეზობამდე გაიანგდებენ გუნდურ პირველობასო. ეს იმედი მართლდება: ექვსი დღის შემდეგ საბჭოთა ათლეტებს 35 ქულა აქვთ, პოლონელები მათ 2 ქულით ჩამორჩებიან.

ამ საღამოს გაიმართება მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრება. საბჭოთა გოლიათი ლ. ყაბოტინსი მსოფლიო რეკორდთან შეკიდებას აპირებს.

ა. მხეიძე.



ეს სურათი დღეს მივიღეთ ლენინგრადიდან. თქვენ ხედავთ შესანიშნავ ესტონელ ძალოსანს იან ტალტსს.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.

ფიცარნაგის ირგვლივ

როგორც ბევრი ბოლოდროინდელი დიდი შეჯიბრების დროს, ძალოსანთა ლენინგრადის ევროპულ ჩემპიონატზეც უურნალისტი მეტი ჩამოვიდა, ვიდრე სპორტსმენი. ახლა აქ მუშაობს 12 ქვეყნის უურნალისტი, საგენტოების, ტელევიზიის, რადიოსა და კინოს 139 წარმომადგენელი. სარბიელზე კი სულ 113 ძალოსანი გამოდის.

როგორ ამარცხებენ შტანგას

სპორტსმენის ხასიათი არსად ისე მკაფიოდ არ მჟღავნდება, როგორც ფიცარნაგზე. ფიზელი იაკა კილაიარვი გარეგნულად თავშეკავებული, ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქოს მელანქოლიური კაცია, შტანგის წინ კი გაშმაგებულ ვეფხვს ემსგავსება. იგი თითქმის დარბის ფიცარნაგზე, შემდეგ კი სულმოუთქმელად მივარდება ხოლმე იარაღს.

სავსებით მშვიდი რჩება მოსკოველი ვიქტორ კურენცოვი. იარაღზე ყოველი მისვლის წინ იგი უთუოდ მოიფხანს ცხვირის წვერს, ჩაფიქრებული გაიგლ-გამოიცლის შტანგის ირგვლივ და მერე ჩაეჭიდება იარაღს.

ავსტრიელი ისოვიჩი მოზეიმე ხმით შეჰკივლებს, როცა წონას თავს ზევით აიტაცებს. ალბათ ასე გაჰკიოდნენ ინდიელებიც, როცა სურდათ მტრისთვის თავზარი დაეცათ. ერთი თურქი პორტსმენი კი შეჯიბრებაში ჩაბმის წინ დახმარებისთვის ალაჰს მიმართავს...

სახელგანთქმულთა შორის

ამათ შორის, ვინც ყოველდღე მოდის ზამთრის სტადიონზე, არიან წარსულში ცნობილი სპორტსმენები, კონტინენტის ჩემპიონები ახვადასხვა წელ. მოსკოველები ლ. მეხანიკი და ნ. შატოვი 1947 წლის პირველობის გმირები არიან. ეს შეჯიბრება საბჭოთა ძალოსნებისთვის პირველი ოფიციალური საერთაშორისო ტურნირი იყო.

აქ ნახავთ კონტინენტის ხუთგზის ჩემპიონს, თბილისელ რ. ჩიმიშკიანსაც, ევროპის პირველობაში გამარჯვებულ პირველ ლენინგრადელს ი. დუგანოვსაც, სახელგანთქმულ გოლიათებს რ. პლიუფელდერს, ა. ვოროხობოვს, ა. მედვედევსაც. სხვათა შორის, ორი უკანასკნელი მეცნიერებათა კანდიდატია. ყველა ესენი ამჟამად მწვრთნელებად მუშაობენ, ცვლას უზრდიან საბჭოთა ჩემპიონებს.

სპორტი არ მიუტოვებია ევროპის ჩემპიონს მსუბუქ წონაში დ. ივანოვსაც. მან მოსკოვის უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა და „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციაში მუშაობს. ახლა იგი თავის გაზეთის ლენინგრადის შეჯიბრების ამბებს გადასცემს.

ერერა „რენესანსს“ გვპირდება

იტალიაში სენსაციად მიიღეს ცნობა, რომ მილანის „ინტერნაციონალეს“ განთქმული მწვრთნელი ელენო ერერა ამ კლუბიდან წავიდა. ასევე სენსაციური იყო კლუბის პრეზიდენტის, ანიორ მორატის გადადგომა. მილანის სან-სიროს სტადიონს დღემდე ამშვენებს „ინტერნაციონალეს“ ადმინისტრაციის ნებართვით გაკეთებული უზარმაზარი წარწერა: „ერერა და მორატი დაიხოცნენ“.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ცნობილი მწვრთნელი სულაც არ თვლის თავს „მიცვალებულად“ ფეხბურთისთვის. კარგი პონორარისთვის ერერა მზადაა კარგად წაიმუშაოს. როგორც ცნობილია, რომის გუნდის სახელი იტალიაში მხოლოდ ომამდე ჰქონდა. „მე რომს ფეხბურთის რენესანსს ვპირდები, — განაცხადა ერერამ. — იტალიაში და მთელ მსოფლიოშიც მალე ისევ ალაპარაკდებიან „რომაზე“. გავაკეთებ ყველაფერს შესაძლებელს, რათა რომის გუნდი უმაღლესი კლასის გუნდად იქცეს, კვლავ შეძლოს ევროპისა და მსოფლიოს თასების მოპოვება, როგორც ეს „ინტერნაციონალემ“ შეძლო ჩემი დახმარებით“.

შეკითხვაზე, რა სჭირდება მას ესოდენ ოპტიმისტური დაპირების შესასრულებლად, ერერამ უპასუხა:

„სულ ოთხი რამ: ფული, ჩემი გამოცდილება, მოთამაშეთა დისციპლინა, ფული. და ეს ყველაფერი ახლა ჩემს განკარგულებაშია“.

ოლიმპიური ჩირაღდნის გზა

მექსიკოს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა საბოლოოდ დაამტკიცა ოლიმპიური ჩირაღდნის მოგზაურობის დრო და მარშრუტი.

ოლიმპიური ცეცხლი 23 აგვისტოს აინთება ოლიმპიაში. 28 აგვისტოს მას ჩაიტანენ პირეის ნავსადგურში, საიდანაც იგი კრეისერით იმგზავრებს გენუის გავლით ბარსელონამდე. აქედან პორტო პალოსის ნავსადგურამდე ჩირაღდანს პორტუგალიის საუკეთესო მორბენლები ატარებენ.

პორტო პალოსში ჩირაღდანს კვლავ გადაიტანენ ხომალდზე, რომელიც 29 სექტემბერს ჩავა სან სალვადორში. აქ მას შეეგებება მექსიკური გემი, რომელიც ჩირაღდანს ვერა კრუსში წაიღებს. თეოთინაკანში ჩირაღდანს თამაშის დაწყებამდე სპეციალური „ოლიმპიური ცეცხლის გვარდია“ დაიცავს.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ჩირაღდნის მარშრუტი მექსიკაში ან ვინ შეიტანს მას ოლიმპიურ სტადიონზე, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

ვჯარი სპორტში

მთავარი ექიმის თაოსნობით

მინის ტარის ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა ხაშურის რაიონში. იგი სპორტული მიღწევებითაც ცნობილია—აქაური ფიზკულტურელები რაიონში პირველობას არავის უთმობენ. მაგრამ საწარმოს სპორტსმენები ამას როდი სჯერდებიან: სპორტის ვეტერანის, ქარხნის მთავარი ინჟინრის მ. ზომერაკის თაოსნობით გადაწყდა შეფობა გაუწიონ ცხრამუხის სკოლის მოსწავლეებს. სიტყვა საქმედ აქციეს: სკოლის ეზოში მოაწყვეს ხელბურთისა და ფრენბურთის მოედნები, რომელთა ბადალი მთელ რაიონში არ არის. მოსწავლეები ქარხნის ფიზკულტურელთა ხელით დამზადებულ სპორტინვენტარსაც მალე მიიღებენ.

ზ. მოსეშვილი.
(ჩვენი კორ.).

ხაშური.

იხ. მე-3 გვ.

ფეხბურთი

ბონის დიქტატურის წინააღმდეგ

ამ დღეებში დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „ფრანკფურტერ ალგემაინემ“ გამოაქვეყნა წერილი სპორტზე ვინმე ენეტის ხელმოწერით. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ენეტი“ ქართულად „მსახურს“, „ლაქიას“ ნიშნავს, ეს ხელმოწერა მეტად სიმბოლურია.

საქმე ის გახლავთ, რომ წერილის მიზანია მხარდაჭერა კაცისა, რომელიც თავს „დასავლეთგერმანული სპორტის ფიურერს“ უწოდებს. ლაპარაკია საკმაოდ ცნობილ პიროვნებაზე — გფრ-ის შპორტბუნდის პრეზიდენტ დაუმეზე, რომელმაც დიდი ხანია გაგვაცნო თავი ბონის რეაქციული წრეების ერთგულ მხახურად. სწორედ დაუმეს ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება გდრ-სა და გფრ-ს შორის სპორტული კავშირის აკრძალვის თაობაზე. ეს დაუმე ქადაგებს ყველა საერთაშორისო შეჯიბრებაში გდრ-ის სპორტსმენთა დისკრიმინაციას.

და აი, ბოლო ხანს სპორტის „ფიურერის“ ტახტმა რყევა იწყო. ამ ქვეყნის სპორტსმენთა მასების გაღელვით დასავლეთგერმანული სპორტული ხელმძღვანელობის ზოგიერთმა მოღვაწემაც კი გაილაშქრა დაუმეს წინააღმდეგ. დასავლეთ გერმანიის სპორტული კავშირის ყოველწლიურ შეკრებაზე შტუტგარტში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა გეორგ ფონ ოპელმა დაუმეს ბრალი დასდო „დიქტატის გატარებაში“ და შპორტბუნდის ხელმძღვანელობას მოსთხოვა „უფრო გონივრული და რბილი პოლიტიკა გერმანული სპორტსმენებისა და არა სპორტისთვის გარეშე პირთა ინტერესების დასაცავად“.

ფონ ოპელის განცხადებამ შპორტბუნდში ნამდვილი ჭარიშტალი გამოიწვია.

დაუმე და მისი ახლობელი მოღვაწენი ცდილობდნენ დაეყოლიებინათ ოპელი, რომ მას უარი ეთქვა საკუთარ აზრებზე. ამის პასუხად ოპელი პრესაში გამოვიდა და გფრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახელით გენერალური კრების მოწვევა მოითხოვა დასავლეთგერმანული სპორტის, ავრეთვე, საერთოგერმანულ სპორტულ ურთიერთობათა მდგომარეობის განსახილველად. მან ხაზგასმით აღნიშნა:

„ჩემმა პოზიციამ შტუტგარტში გფრ-ის ბევრი სპორტსმენისა და სპორტული ორგანიზაციის მხარდაჭერა ჰპოვა, რომლებმაც დამარწმუნეს ჩემი მოქმედების სისწორეში“.

აი, სწორედ ამ განცხადების შემდეგ გამოუშვა დაუმემ სარბიელზე თავისი ლაკეა კბეტი, რომელიც „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ ფურცლებზე თავს დაესხა ფონ ოპელსა და სხვა „მეამბოხეებს“.

ჭიდაობა

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ჭუჭუნ...

მოსკოვში შედგა მორიგი მატჩი: ადგილობრივმა ცსკა-მ მიიღო ჭუთაისის ტორპედოელები. შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 26 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	15	10	4	1	28—12	24
„დინამო“ (კიევი)	16	8	7	1	20—10	23
„დინამო“ (თბილისი)	15	6	7	2	11—4	19
„ტორპედო“ (მოსკოვი)	15	6	6	3	24—15	18
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	15	6	6	3	14—9	18
„დინამო“ (მინსკი)	15	6	5	4	13—9	17
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	15	4	9	2	14—13	17
ცსკა	15	5	6	4	14—13	16
„ძრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	15	5	5	5	12—11	15
„შახტიორი“ (დონეცკი)	15	3	9	3	11—13	15
„ნეფტჩი“ (ბაქო)	15	5	4	6	12—11	14
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	15	3	8	4	16—19	14
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	15	4	6	5	16—20	14
„ზარია“ (ლუგანსკი)	16	4	6	6	8—16	14
„დინამო“ (მოსკოვი)	16	4	5	7	16—19	13
„პაირატი“ (ალმა-ათა)	15	4	4	7	12—15	12
ცსკა (როსტოვი)	15	4	4	7	17—22	12
„არარატი“ (ერევანი)	15	3	5	7	12—17	11
„ტორპედო“ (ჭუთაისი)	16	3	5	8	13—23	11
„დინამო“ (ქიროვაბადი)	15	1	5	9	5—17	7



ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲡ

ს ს რ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს ფეხბურთელები მეტად უხეიროდ გამოვიდნენ — საერთო ჩათვლაში წინა სპარტაკიადის V ადგილიდან IX ადგილზე გადაინაცვლეს. ასეთი მარცხი მათ არასოდეს განუცდიათ. ამიტომაც იყო, რომ წარუმატებლობის მიზეზები საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის მსჯელობის საგნად იქცა. გამოირკვა სერიოზული ნაკლი გუნდის მომზადებაში. დამნაშავენი დაისაჯნენ. ცურვის რეპუბლიკურ ფედერაციას, მწვრთნელებს დაევალათ უმოკლეს დროში აღმოეფხვრათ ხარვეზები.

მოსაფიქრებელი იყო, რომ სპორტკავშირის დადგენილების ნაყოფი წლევანდელ ტურნირებში გამომჟღავნდებოდა, ძარღვმოსწყვეტილთა შეჯიბრებამ სანუგეშო ეიფორია დაგვანახვა. პირიქით, შედეგები გაუარესდა. მართალია, აჭარის გუნდში ერთგვარი წინსვლა იგრძნობა, მაგრამ აფხაზეთის კოლექტივი, მაგალითად, სრულიად მოუმზადებელი ჩამოვიდა საასპარეზოდ და მხოლოდ ესტაფეტებში შეძლო საპრიზო ადგილებზე გასვლა.

გამარჯვებისთვის თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის გუნდები იბრძოდნენ, საპრიზო ადგილება კი უმთავრესად აჭარისა და თბილისის სპორტსმენებმა გაინაწილეს.

სარბიელზე გამოვიდა ბევრი ახალბედა მოცურავე, რომელთაგან უმეტესობას არავითარი ტექნიკა არ გააჩნდა და ფიზიკურადაც სუსტად იყო მომზადებული. მაგრამ ისინი რატომღაც მაინც ჩაურიცხავთ გუნდში, ვინძლო დისტანცია როგორმე დაამთავრონ და ნოლი არ მიეკიდოთო. ქუთაისელმა ოსტატობის კანდიდატმა ი. ზოტოვამ თავისუფალი სტილით ესტაფეტაში 4×100 მეტრზე ცურვის პირველ ეტაპზე საგრძნობი წარმატება მოიპოვა, მაგრამ მისი მოპასპოვარი სწორედ ასეთმა „სპორტსმენებმა“ ჩაყარეს წყალში. გუნდი საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა ამასთან, გამარჯვებულთან წუთნახევარზე მეტი წააგო.

„ლელო“ ბევრჯერ წერდა, ფედერაციის სხდომებზეც მრავალჯერ ითქვა, რომ საქართველოში თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა კომპლექსურ და ბატერფლაით ცურვას, მაგრამ სიტყვას საქმე არც აქ მოჰყოლია. სპარტაკიადაში 400 მეტრზე კომპლექსური ცურვის სტარტზე მხოლოდ ერთი გოგონა (ბათუმელი ტ. ვოიცეხოვსკაია — 7.39,9) გამოვიდა და მასაც III თანრიგის შედეგი ძლივს აჩვენა. ჭაბუკებში მხოლოდ ორნი — თბილისელი პ. გევორქოვი (5.45,3) და ბათუმელი ნ. ნესტოროვი (6.59,3) იბრძოდნენ. 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაშიც 2-2 სპორტსმენი ასპარეზობდა. მართალია, მათ II თანრიგის შედეგები აჩვენეს, მაგრამ ეს საკმარისი როდია. ამასთან, გევორქოვი ამ სახეობაში უკონკურსოდ გამოვიდა.

კიდევ ერთი ფაქტი: ტურნირში ნარტო ერთმა მონაწილემ (თბილისელმა ვ. სნიმშჩიკოვმა) აჩვენა ოსტატობის კანდიდატის შედეგი, 11 მოსწავლემ — 1 თანრიგისა. მოწონება ხდა მხოლოდ თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელ ი. ლასეცკის. 14 წლის ბიჭუნამ 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აცადა ძალა და პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი. მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. იოაკიმიდი ლიაეკციზე დიდ იმედს ამყარებს. მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

შეჯიბრებაც უხეიროდ იყო ორგანიზებული. მსაჯები არ ქონდათ განსხვავებული ნიშნები, ტურნირს არ ემსახურებოდა ექიმი, ირღვეოდა შეჯიბრების დისციპლინა.

ნ. გიგოლაშვილი.

* * *

ტექნიკური შედეგები

გოგონები: თავისუფალი სტილით ცურვა: 100 მ. ი. ზოტოვა (ქუთაისი) — 1.10,0, ნ. მიქელაძიანი — 1.13,8, ე. ავალოვი (ორივე — აჭარა) — 1.16,8; **200 მ.** ზოტოვა (პირადი) — 2.38,2, ლ. კონდრატიევა — 2.48,6, ო. ვილკოვა (ორივე — თბილისი) — 2.52,2; **400 მ.** ი. ჩაბურლიევა (თბილისი) — 6.18,4, ე. ამირანოვა (აჭარა) — 6.55,7, მ. კოვალიოვა (თბილისი) — 7.03,5; **800 მ.** ვილკოვა — 12.37,9, ვ. კორნიენკო (თბილისი) — 12.46,7, თ. დოლიძე (აჭარა) — 13.19,0; **ბრასი: 100 მ.** ლ. კუხიანიძე — 1.30,9, ლ. სელეზნოვა — 1.31,6, ზ. ოსოიანი (ყველა — თბილისი) — 1.36,5; **200 მ.** ე. სედიაკოვი (აჭარა) — 3.06,3, ს. ნუკობინშვილი (თბილისი) — 3.19,9, დოლიძე — 3.20,1; **ბატერფლაი: 100 მ.** გ. გორბუნოვა (აჭარა) — 1.22,8, ნ. დავითაძე — 1.24,0, მ. ფომინა (ორივე — თბილისი) — 1.35,5; **200 მ.** ტ. სტრუნინა—3.13,6, ი. ზარგარიანი (ორივე — თბილისი) — 3.25,0; **გულაღმა: 100 მ.** მ. ყულიჯანოვა—1.21,2, მ. ცინცაძე — 1.29,5, ვ. პროსკურინა (ყველა — თბილისი) — 1.32,9; **200 მ.** ნ. გამზინა — 3.06,4, ე. კალუცკაია (ორივე — თბილისი) — 3.15,0, ნ. ჯარუმოვა (აჭარა)—3.15,0; **კომპლექსური: 200 მ.** ტ. შელეტი — 3.01,7, ვ. კორნიენკო (ორივე — თბილისი) — 3.15,0, ავილოვა — 3.16,3; **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით.** თბილისი — 5.10,7, აჭარა — 5.35,2, აფხაზეთი—6.22,6; **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 5.31,4, აჭარა — 5.36,7, აფხაზეთი — 7.06,5;

ვაჟები. თავისუფალი სტილით ცურვა: 100 მ. ვ. გონჩაროვი — 1.03,6, ა. ფალანჯიევი — 1.04,9, ი. ბარონი — 1.05,6; **200 მ.** ბარონი — 2.23,8, ა. კლიმენკო — 2.25,8, ვ. ტხორი — 2.30,6; **400 მ.** ვ. გონჩაროვი — 5.20,9, ა. იორდანიშვილი — 5.30,5, ა. მლინიში — 5.59,5; **1500 მ.** ი. ლისეცკი — 19.44,9, ვ. სივცოვი (ყველა — თბილისი) — 22.42,3, ხ. ბაზოევი (აჭარა) — 24.21,9; **ბრასი: 100 მ.** ა. ივლევი — 1.17,3, პ. ზუბი — 1.19,4, გ. ზაკატოვი — 1.19,5; **200 მ.** ზუბი — 2.53,4, ს. ვორონოვი — 2.59,4, გ. პრისიაჟნიუკი — 3.02,9; **ბატერფლაი: 100 მ.** გევორქოვი — 1.09,0, თ. ცაგარელი — 1.13,9, დ. აირაძე — 1.16,6; **200 მ.** ვ. გოგოლევი — 2.55,0; **გულაღმა: 100 მ.** ჯ. ჩაბაკაური — 1.08,1, სნიმშჩიკოვი — 1.08,8, გ. წიქარიძე — 1.13,8; **200 მ.** სნიმშჩიკოვი—2.30,4, წიქარიძე — 2.42,6, ზ. ლეკიშვილი — 2.47,6; **კომპლექსური: 200 მ.** ვ. გრიგორაშჩენკო (ყველა — თბილისი) — 2.43,5, გ. აბრამიანი (აჭარა) — 2.46,9, ი. სემიონოვი (თბილისი) — 2.51,7; **ესტაფეტა თავისუფალი სტილით 4×100 მ.** თბილისი—4.22,3, აჭარა — 5.00,4, აფხაზეთი — 5.45,0; **4×200 მ.** თბილისი — 10.07,2, აჭარა — 11.59,6, აფხაზეთი — 12.30,5; **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 4.47,2, აჭარა — 5.08,4, ქუთაისი — 6.91,2.

გუნდური: 1. თბილისი — 20.820 ქულა, 2. აჭარა — 13.486, 3. აფხაზეთი — 5.751, 4. ქუთაისი — 2.507, 5. ფოთი — 878, 6. რუსთავი — 774.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ბ. გევორქოვი ახპარეზობისას.

ფოტო ო. გელაშვილისა.



ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲛᲐᲗᲝᲐ

სპორტულ ტანვარჯიშში მოსპარეზე გუნდები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირადი პირველობა გათამაშდა როგორც მრავალგიდში, ისე ცალკეულ იარაღებზე. სპორტსმენები მხოლოდ ხელისმიერი პროგრამით ეკიბრებოდნენ ერთმანეთს. უნდა ითქვას, რომ დებულების ზოგიერთი პუნქტი საკამათოა, რამაც მწვრთნელთა და გუნდების წარმომადგენელთა პრეტენზიები გამოიწვია. საქმე ის არის, რომ ჩათვლაში გუნდის ყველა წევრის შედეგი არ შედიოდა. ხომ შეიძლება მომხდარიყო ისე, რომ დაშავებული სპორტსმენისთვის მწვრთნელს შეჯიბრების გაგრძელება დაეძალებინა? ქუთაისელთა ხელმძღვანელობა ასე რომ მოქცეულიყო, გუნდი V ადგილის ნაცვლად მეორეს დაიკავებდა. იყო შემთხვევები, როცა გუნდების წარმომადგენლები დებულების ყველა პუნქტს არ იცნობდნენ...

მწვრთნელთა და წარმომადგენელთა შემაჯამებელ კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ რუსუბლიგაში უკვე საკმაოდ გაძლიერდნენ სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლები და მათი ერთმანეთთან შეხვედრებია მოწყობა დროულია.

პირადი შეჯიბრების პრიზიორები

გოგონები. სპორტის ოსტატის პროგრამით. 1. მ. მონიავა (თბილისი) — 75,2, 2. რ. სიხარულიძე (აჭარა) — 74,9, 3. ე. ბოგოლიუბოვა (თბილისი) — 74,4.

სპორტის ოსტატობის კანდიდატები. 1. ც. ჩოხელი — 72,35, 2. ს. ყურგანსკაია — 72,1, 3. ქ. კობერიძე (სამივე—თბილისი) — 72,0.

პირველი თანრიგი. 1. ქ. გოგიჩაიშვილი (აჭარა) — 72,75, 2. ნ. დრონოვა — 72,1, 3. ვ. ვასილიევა (ორივე — თბილისი) — 71,05.

ვაჟებუკები. სპორტის ოსტატის პროგრამით. 1. ა. ნოზაძე (თბილისი) — 109,75, 2. ნ. გარდავა (ზუგდიდი) — 105,15, 3. ვ. შამუგია (თბილისი) — 101,75.

სპორტის ოსტატობის კანდიდატები. 1. ვ. ფეიქრიშვილი — 108,5, 2. თ. წიქორიძე — 104,8, 3. მ. კვინიკაძე (სამივე — თბილისი) — 102,9.

პირველი თანრიგი. 1. ა. კულუმბეგაშვილი (ქუთაისი) — 102,9, 2. ნ. ხარებოვი (სამხრეთ ოსეთი) — 100,9, 3. ვ. ჯილაძე (გორი) — 100,3.



ახმეტა

ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა მასობრივი მოტოკროსი, რომელიც დოსააფის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო. კროსის მარშრუტი ასეთი იყო: ახმეტა — თელავი — გურჯაანი — ყვარელი — ახმეტა.

შ. ნათელაური.

ბოგოლიუბოვა (თბილისი) — 1.17,3, პ. ზუბი — 1.19,4, გ. ზაკატოვი — 1.19,5; 200 მ. ზუბი — 2.53,4, ს. ვორონოვი — 2.59,4, გ. პრისიაჟნიუკი — 3.02,9; **ბატერფლაი: 100 მ.** გევორქოვი — 1.09,0, თ. ცაგარელი — 1.13,9, დ. აირაძე — 1.16,6; **200 მ.** ვ. გოგოლევი — 2.55,0; **გულაღმა: 100 მ.** ჯ. ჩაბაკაური — 1.08,1, სნიმშჩიკოვი — 1.08,8, გ. წიქარიძე — 1.13,8; **200 მ.** სნიმშჩიკოვი—2.30,4, წიქარიძე — 2.42,6, ზ. ლეკიშვილი — 2.47,6; **კომპლექსური: 200 მ.** ვ. გრიგორაშჩენკო (ყველა — თბილისი) — 2.43,5, გ. აბრამიანი (აჭარა) — 2.46,9, ი. სემიონოვი (თბილისი) — 2.51,7; **ესტაფეტა თავისუფალი სტილით 4×100 მ.** თბილისი—4.22,3, აჭარა — 5.00,4, აფხაზეთი — 5.45,0; **4×200 მ.** თბილისი — 10.07,2, აჭარა — 11.59,6, აფხაზეთი — 12.30,5; **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 4.47,2, აჭარა — 5.08,4, ქუთაისი — 6.91,2.

გუნდური: 1. თბილისი — 20.820 ქულა, 2. აჭარა — 13.486, 3. აფხაზეთი — 5.751, 4. ქუთაისი — 2.507, 5. ფოთი — 878, 6. რუსთავი — 774.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ბ. გევორქოვი ახპარეზობისას.

ფოტო ო. გელაშვილისა.



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

სრული 1967 წლის შედეგების მიხედვით

ვაქვეყნებთ საქართველოს 10 საუკეთესო მსროლელის სიას ყველა ვარჯიშში. სპორტსმენთა გვარის შემდეგ აღნიშნულია ქალაქი, საზოგადოება და შედეგი.

ქალები

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა. ს. ზასკო (თბილისი, „დინამო“) — 574, ლ. ჟურული (თბილისი, ასკ) — 567, ლ. ალიხანოვა (სოხუმი, „დინამო“) — 567, ა. ისლიამოვა (სოხუმი, „დინამო“) — 564, ც. სარჯველაძე (თბილისი, დოსააფი) — 551, ნ. ერმიშიანი (თბილისი, ასკ) — 549, ვ. კირეევა (თბილისი, „დინამო“) — 546, ე. კერნოზიცკაია (თბილისი, „დინამო“) — 546, ნ. სკრინიკოვა (თბილისი, ასკ) — 542, ა. პოპოვა (სოხუმი, „დინამო“) — 541.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლა (50 მ). ს. ზასკო — 588, ლ. ჟურული — 588, ლ. ალიხანოვა — 587, ც. სარჯველაძე — 586, ა. ისლიამოვა — 583, ნ. ერმიშიანი — 582, ა. სელმა (სოხუმი, დოსააფი) — 582, ე. კერნოზიცკაია — 580, ა. პოპოვა — 575, ნ. სკრინიკოვა — 574.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლა. ტ. კობოსნაძე (თბილისი, „დინამო“) — 272, ტ. ტერეზოვა (სოხუმი, „დინამო“) — 267, მ. ღვინერია (თბილისი, დოსააფი) — 261, თ. კობოსნიძე (ქუთაისი, „დინამო“) — 259, მ. გორგიშვილი (თბილისი, „დინამო“) — 259, ნ. კულიშოვა (სოხუმი, „დინამო“)—258, ლ. შრეკინა (თბილისი, დოსააფი) — 257, ვ. ტიმოფეევა (თბილისი, ასკ) — 256, ვ. შერკინა (თბილისი, „დინამო“) — 248, ვ. საფანჩუკი (თბილისი, „დინამო“) — 248.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა (30+30). მ. ღვინერია — 582, თ. კობოსნიძე — 579, ო. კუდრიავცევა (თბილისი, ასკ) — 577, ტ. კობოსნაძე — 573, ო. ნოვოსელცოვა (თბილისი, დოსააფი) — 563, ნ. კულიშოვა — 563, მ. გორგიშვილი — 558, ვ. შერკინა — 548, მ. რაზმაძე (თბილისი, „დინამო“) — 548, ნ. სლივინა (თბილისი, დოსააფი) — 541.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სროლა. მ. ღვინერია — 580, ტ. კობოსნიძე — 575, ო. კუდრიავცევა — 571, ვ. ტიმოფეევა — 564, ო. ნოვოსელცოვა — 562, რ. აფრიდონიძე (ქუთაისი, „დინამო“) — 551, ვ. შერკინა — 550, თ. კობოსნიძე — 542, ნ. სლივინა — 541, ნ. კულიშოვა — 534.

ვაჟები

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა. ვ. იაკიმენკო (სოხუმი, „დინამო“) — 569, ხ. ვალიულინი (თბილისი, „დინამო“) — 568, ა. სტროევი (სოხუმი, „დინამო“) — 568, ლ. ოსტრიკოვი (სოხუმი, „დინამო“) — 564, ა. ტკაჩენკო (სოხუმი, „დინამო“) — 564, ა. შამკო (სოხუმი, დოსააფი) — 563, ვ. აბაჯანი (თბილისი, დოსააფი)—561, ი. ბარსუკოვი (თბილისი, „დინამო“) — 558, თ. მგრელიშვილი (თბილისი, „დინამო“) — 557, ა. კოროვევი (სოხუმი, „დინამო“) — 556.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა. შ. ქველიაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1150, ვ. ახალაძე (ქუთაისი) — 1143, ვ. პანკოვი (თბილისი, ასკ) — 1135, ე. აბაჯანი — 1135, ა. სტროევი — 1131, ლ. ოსტრიკოვი — 1129, თ. მგრელიშვილი — 1128, ხ. ფარულავა (ქუთაისი, დოსააფი) — 1116, ვ. სკრინიკოვი (თბილისი, დოსააფი) — 1113, ა. ტკაჩენკო — 1108.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა 60 გასროლა. ვ. პანკოვი — 592, შ. ქველიაშვილი —

„ა" ჯგუფი

ქალთა საბჭოთა კავშირის პირველობა

სსრ კავშირის პირველობა

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი ცვალტარს უახლოვდება. კიდევ რამდენიმე ტური და I წრე ურგს უკან დარჩება. 24-25 ივნისს გაიმართა მორიგი, XV ტური.

რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერთა შეხვედრები. „სპარტაკს" გასვლითი მატჩი ჰქონდა ლუგანსკში. თამაში მიმდინარეობდა კოკისპირულ წვიმაში. უკვე მე-2 წუთზე „ზარია" დაწინაურდა სტრელცოვის დარტყმის შემდეგ. სულ მალე იმავე სტრელცოვს შეეძლო კიდევ უფრო წინ გაეყვანა თავისი გუნდი, მაგრამ 5 მეტრიდან აცილა კარს. შემდგომში „სპარტაკმა" მთლიანად ხელთ იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა კიდეც. 2 ბურთი გაიტანა ლოგოფეტმა, 1 — ევლენტიევმა.

გაიმარჯვა მეორე ლიდერმაც — კიევის „დინამომ", თუმცა მას შინ უკიდურესად გაუჭირდა 2 ქულის აღება. საერთოდ, გამარჯვებულს ამ მატჩში ბურთი არ გაუტანია. გოლის ავტორი იყო ვოლგელთა მცველი სახაროვი, რომელმაც საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი — 0:1.

ასევე ნოხდა მოსკოვშიც, სადაც ადგილობრივი დინამოელები ეთამაშნენ როსტოველი არმიელებს. ეს საბედისწერო ბურთი მატჩის დასაწყისშივე გაიტანა საკუთარ კარში როსტოველთა მცველმა კრავჩენკომ. „დინამოს" კარს სანგრძლივი შესვენების შემდეგ იცავდა იაშინი.

დრამატულად წარიმართა მატჩი ოდესაში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „ჩერნომორეცი" და მოსკოვის „ტორპედო". აქ წინ იყვნენ მოსკოველები (ანგარიში გახსნა ლენიოვმა, ხოლო მეორე ბურთი გაიტანა სტრელცოვმა). შემდგომში ოდესელებმა გააღიერეს შეტევა, პირველი საპასუხო ბურთის ავტორი იყო მოსკალენკო, ხოლო მეორეში — ზვენიგოროდსკი, რომელმაც ტორპედოელთა კარი აიღო 90-ე წუთზე.

კვლავ წარუმატებლად ითამაშეს სტუმრად აზერბაიჯანის გუნდებმა. „კაირატმა" დიდი ანგარიშით ჩაიწერა გამარჯვება „ნეფტჩისთან" შეხვედრაში. ბაქოელები უძლურნი იყვნენ მასპინძელთა შტურმის წინაშე. პირველი ბურთი გაიტანა ვოლოხმა, შემდეგ სვეშნიკოვმა შესანიშნავი ბურთი გაიტანა 25 მეტრიდან, მერე კი გამარჯვების წერტილი დაუსვა დოლმატოვმა. აღსანიშნავია, რომ „კაირატის" დაცვამ სრულიად გამოთიშა თამაშიდან „ნეფტჩის" თავდასხმის „ტანდემი" ბანიშევსკი — მარჭაროვი. „პახტაკორმა" დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოუგო კიროვაბადის „დინამოს" — 1:0. გოლი გაიტანა რახმატულაევმა.

მინიმალური ანგარიში აღინიშნა მინსკში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო" და „არარატი". მინსკელთა ბევრი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი დამთავრდა გოლით (მუსტიგინი).

დაბოლოს, „შახტიორის" მატჩი დონეცკში „ლოკომოტივთან". ანგარიში გახსნა დონეცკელმა ევსეევკომ, თანაფარდობა კი აღადგინა „ლოკომოტივის" მცველმა როდიონოვმა — 1:1.

მოგვყავს რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი.

ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ჰყავს „სპარტაკს" — 28 გოლი. ყველაზე ნაკლებად სახიფათოა დუბიუტანტი და აუტსაიდერი — კიროვაბადის „დინამო". ამ გუნდის აქტივი 15 მატჩში სულ 5 გოლს შეადგენს.

საკუთარი კარი ყველაზე ხაიმედოდ აქვთ დაცული თბილისის დინამოელებს. 15 თამაშში მათ სულ 4 გოლი გაუტანეს. ანდრეი და ვალერი ბაქურაძეები მატჩში აქვთ გატანილი „ცენტრალური", „დინამოს", „ლოკომოტივის", „ზარიას", „ნეფტჩის" და სხვ. 11 თამაშში თბილისელებს საერთოდ არ მიუღიათ გოლი.

ფრედ დამთავრებული მატჩების რიცხვით წინ არიან „ზენიტი" და „შახტიორი" — 9-9.

ყველაზე მეტი თამაში მოიგო „სპარტაკმა" — 10, ყველაზე ნაკლები — კიროვაბადის „დინამომ" — 1.

ყველაზე მეტი ბურთი გაუგებული აქვთ როსტოვის არმიელთა მეკარეებს — 22.

გასვლით მატჩებში სულ თითო ქულა აიღეს „ნეფტჩიმ", „არარატმა" და კიროვაბადის „დინამომ". კიევის დინამოელებმა გასვლაზე აიღეს 12 ქულა, თბილისის „დინამომ" — 8.

ჩემპიონატის სნაიპერთა სიას კვლავინდებურად მეთაურობს ტაშკენტელი ბ. აბდურაიმოვი — 9 გოლი. ვ. სტრელცოვის („ტორპედო", მოსკოვი) ანგარიშზეა 7 ბურთი.

ერთი ნაბიჯი მოგებამდე

ლენინგრადი. კიროვის სახ. სტადიონი. 24 ივნისი.

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

„ზენიტი": შაპოვალენკო, ბულავინი, კოპეი, ნაუმოვი, იუმაკულოვი, ხადირინი, პოლოსოვი, ვიუნი, ბურჩალკინი, გონჩაროვი (პოლიაკოვი), უანაოვი.

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, კუტივაძე, ახათიანი, მეტრეველი, გავაშელი (გ. ნოდია).

მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

თუ დაეკვირვებით იმ ლენინგრადელ გულშემატკივრებს, რომლებიც არ აცდენენ მატჩებს თავიანთ სტადიონზე, ასეთი საინტერესო და დაძაბული თამაში წლეულს მათ არ უნახავთ. მართლაც, მატჩი „ზენიტსა" და თბილისის „დინამოს" შორის უაღრესად საინტერესო გამოდგა და მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა. მაგრამ თუ „ზენიტის" გულშემატკივრები თამაშის სანახაობრივი სილამაზის გარდა კმაყოფილების გრძნობას განიცდიდნენ გადარჩენილი ქულის გამო, ჩვენ, „დინამოს" ქომაგთ, შეგვიძლია აღნანუსით აღვნიშნოთ, რომ ამ შეხვედრაში რამდენიმეჯერ ახლოს ვიყავით მოგებასთან და, ამდენად, შეხვედრის ფრედ დამთავრება აშკარად დაკარგულ ქულას ნიშნავს. „ზენიტის" კართან საბიფათო მოშენტები ხშირად იქმნებოდა და ზოგიერთი მათგანი ისეთი იყო, რომლებსაც ფეხბურთში გოლის გატანის 100-პროცენტიან შესაძლებლობას უწოდებენ.

პირველ ხუთ წუთში დინამოელებს ორიდან ერთხელ მაინც შეეძლოთ „ზენიტის" კარის აღება. ორიეულჯერ გარღვევა მეტრეველმა წამოიწყო ფლანგზე. შაპოვალენკომ პირველ შემთხვევაში უძნელესი ბურთის აღება შეძლო, ხოლო შემდეგ ასათიანმა სულ ახლოდან აცილა ბურთი მიზანს.

მე-13 წუთზე ასეთივე კრიტიკული მომენტი შეიქმნა სტუმრების კართან და ურუშაძეს მოუხდა ვიუნის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთის მოგერიება, შემდგომში კი შეტევას კვლავ თბილისელები ახორციელებდნენ.

24-ე წუთზე გავაშელი პირისპირ დარჩა მეკარესთან და დააყოვნა დარტყმა, რამაც შაპოვალენკოს საშუალება მისცა ფეხებში ჩახტომოდა მას. ორიოდე წუთის შემდეგ ისევ გავაშელმა ვერ შეძლო ბურთის გატანა ხელსაყრელი მდგომარეობიდან, ხოლო ტაიმის ბოლო წუთებზე ლენინგრადელები გოლს გადაურჩნენ ასეთ სიტუაციაში: ძოძუაშვილმა შაპოვალენკოს თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი, რომელიც კარში გაგზავნა ასათიანმა. ბურთს მიუსწრო თავდასხმის რიგებიდან უკან დაწეულმა ენანოვმა და ზედ ხაზიდან გამოიტანა იგი.

ასევე მიმდინარეობდა ბრძოლა მეორე ტაიმში. განსაკუთრებით კარგად ითამაშა მეტრეველმა, რომელსაც განუწყვეტლივ შეტევაზე მიჰყავდა თავისი გუნდი. საგოლე მომენტები ხშირად იქმნებოდა „ზენიტის" კართან, მაგრამ ბურთის გატანა არ მოხერხდა.

ა. ცეხანელი.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

3:0, 1:1, 2:0

„ბ" ჯგუფი

რსფსრ-ს IV ზონა

24 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონაში. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

ჰიათურიდან...

ადგილობრივი „მაღაროელის" შეხვედრამ ზონის ერთ-ერთ ლიდერთან — კისლოვოდსკის „სპარტაკთან" დიდი ინტერესი გამოიწვია. ჰიათურელმა ფეხბურთელებმა აღმავლობით ჩაატარეს ეს საპასუხისმგებლო მატჩი და დამჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ახგარიში 23-ე წუთზე გახსნა თურქიამ, რომელმაც მარცხენა ფრთიდან დაარტყა კარში, ბურთი მოხვდა ძელს და ბადეში აღმოჩნდა. გავიდა ცოტა ხანი და პავლიჩოვმა საკარიმო დარტყმით მეორედ აიძულა სპარტაკელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

„მაღაროელს" არ შეუწყვეტია შეტევები მეორე ტაიმშიც. თურქიას გადაცემა მიიღო გონგლაძემ, გავიდა წინ და მეხუთე გოლი გაიტანა — 3:0.

სტუმრების ყველა ცდას—გაეტანათ მაინც ერთი საპასუხო ბურთი, შედეგი არ მოჰყოლია. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო ჰიათურელთა მეკარე შავაგრაძემ.

თ. ჭეჭელაძე.

ცხინვალიდან...

„სპარტაკის" მეტოქე განვლილ ტურში იყო ნოვოროსიისკის „ცემენტი"—ზონის ლიდერი.

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორივე გუნდის კართან ჯერ კიდევ შესვენებამდე ხშირად იქმნებოდა სასიფათო მომენტები, მაგრამ თავდამსხმელები არაზუსტად ურტყამდნენ კარში. კიდევ უფრო საინტერესო და დაძაბული გამოდგა მეორე ტაიმი. 67-ე წუთზე სპარტაკელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია ჯიპოვეი — გაბოძე — ვაჩეიშვილი, რაც გოლით დამთავრდა — 1:0.

„ცემენტმა" მთელი თავისი ძალები შეტევაში გადაიყვანა და მაშინ, როცა მატჩის დასასრულს ხუთიოდე წუთი აკლდა, ბაბაიანმა შეძლო ცხინვალელთა დაცვაში დაშვებული შეცდომის გამოყენება — 1:1.

ვ. მელქოევი.

„უცხო" მინდორზე

ვინაიდან ზუგდიდის საფეხბურთო მინდორი დისკვალიფიცირებულია, ზუგდიდის „ენგურისა" და ფოთის „კოლხეთის" მატჩი ქუთაისში შედგა. გაიმარჯვეს ზუგდიდელებმა — 2:0.

რსფსრ-ს III ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ხიმიკი" (ბალაკოვო)	16	7	8	1	14—6	22
„შრ. რეზერვები" (ცურსკი)	15	9	3	3	23—5	21
„დილა" (გორი)	15	8	5	2	24—8	21
„სპარტაკი" (ბელგოროდი)	15	9	3	3	24—10	21
„სპარტაკი" (ორიოლი)	15	7	6	2	16—8	20
„შრომა" (მაიკოპი)	15	7	4	4	21—9	18
„მეტალურგი" (რუსთავი)	15	7	3	5	13—8	17
„ტორპედო" (არმავირი)	15	6	5	4	16—14	17
„შრომა" (ლაბინსკი)	15	5	7	3	7—8	17
„დაჯინი" (ზაქათალა)	15	6	4	5	15—21	16
„ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური)	15	5	5	5	14—15	15
„შრომა" (სლავიანსკი)	15	5	5	5	14—15	15
„ალაზანი" (გურჯაანი)	15	6	2	7	17—18	14
„ენერგია" (ვოლუსკი)	15	4	5	6	9—13	13
„ტრუდი" (ენგელსი)	15	3	6	6	10—15	12
„შრომა" (ალეჭსანდროვსკაია)	16	4	4	8	10—16	12
„შრომა" (სვეტლოგრადი)	16	2	8	6	10—17	12
„შრომა" (ლენინგრადსკაია)	15	2	8	5	8—16	12
„ხიმიკი" (ნევინომისკი)	15	3	5	7	8—17	11
„არაზი" (ნახიჭევანი)	15	2	3	10	10—23	7
„შრომა" (ელისტა)	16	1	4	11	18—27	6

სუპერსროლი...

◆ **ვარშავა, 25 ივნისი.** ბალტიისპირეთის საერთაშორისო ველორბოლა „მეგობრობა" VIII ეტაპი მოიგო პოლონელმა ზ. ბელსკიმ. გუნდურ ჩათვლაში ბელორუსკოდან ავგუსტოვომდე ყველას აჯობეს გდანსკის მრბოლელებმა, მაგრამ 8 ეტაპის ჯამში ლიდერობას კვლავ საბჭოთა ოლიმპიელები ინარჩუნებენ. პირად ჩათვლაში კვლავინდებურად წინაა ხარკოველი ა. ზახაროვი — 21:35.51.

◆ **ბელგრადი, 25 ივნისი.** ადგილობრივი „ცრვენა ზვეზდას" ფეხბურთელებმა დუბლი გაიკეთეს — თავიანთი ქვეყნის თასიც მოიგეს და პირველობაც. იუგოსლავიის თასს ისინი ადრე დაეუფლნენ, ჩემპიონები კი ახლა, გათამაშების ბოლოსწინა ტურში გახდნენ, როცა 41 ქულა მოაგროვეს. ბელგრადის მეორე გუნდი — „პარტიზანი", რომელსაც 38 ქულა აქვს, „ცრვენა ზვეზდას" ვეღარ დაეწევა. ჩემპიონთა შემადგენლობაში თამაშობს იუგოსლავიის საუკეთესო თავდამსხმელი ჯაიჩი.

◆ **ჰეიცერდი (კალიფორნია),** 25 ივნისი. ადგილობრივ აუზში მსოფლიო რეკორდი დაბრუნა ამერიკელმა შარკ შპიტცმა: 400 მ თავისუფალი სტილით მან 4 წუთსა და 7,7 წამში დაფარა. ეს ნახევარი წუთით სჯობს გამარჯვებულის თანამემამულე გ. ჩარლტონის მიერ ტოკიოს უნივერსიადაში ნაჩვენებ მიღწევას.

◆ **ბლანკენბურგი (გდრ),** 25 ივნისი. უვროპის იუნიორთა ჩემპიონატის წინ მაგიდის ჩოგბურთში აქ გამართული შეჯიბრება სერიოზულ რეპეტიციად იქცა. ერთმანეთს შეხვდნენ გდრ-ის, უნგრეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია რიგელმა ჰაბუამა უ. ეგლიტისმა: მან ოთხივე თანრიგში იასპარეზა და სამჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. რიგელმა მხოლოდ შერეულ წყვილებში (კაუნასელ ა. გედრაიტატესთან ერთად) წააგო ფინალური შეხვედრა ჩეხოსლოვაკიურ დუეტთან (ტურანი — გროფოვა) — 0:2. ერთეულთა ფინალში ეგლიტისმა ეს ტურანი ასევე „მშრალად" (2:0) დაამარცხა, ხოლო შემდეგ გროფოსელ ვ. ზლენკოსთან წყვილში გადაწყვეტი შეხვედრა მოუგო უნგრელებს კლამპარსა და ტომარს. დაბოლოს, გუნდურ ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა, რომელშიც ეგლიტისიც შედიოდა, პირდაპირ გაანადგურა მეორე პრიზიორი — უნგრეთის ნაკრები — 5:0. ჭალიშვილებში ყველას აჯობეს: ერთეულებში — რუმინელმა კრიშანმა (სსრ კავშირიდან პრაზიორებში ვერავინ მოხვდა), წყვილებში — გროფოვამ და მისმა თანამემამულემ კეტნეროვამ (გედრაიტიტე და ლუგანსკელი ვ. ვოლკოვა მეხსამენი იყვნენ), გუნდურში — რუმინელებმა, რომლებმაც ფინალში სძლიეს სსრ კავშირის წარმომადგენლებს — 3:0.

10 საუკეთესო

592. ვ. სკრინიკოვი — 592, ა. მარუთიანი (თბილისი, „დინამო") — 590, მ. მიქაშავილი (ქუთაისი, „დინამო") — 588, ვ. იაკიმენკო — 588, თ. მგრელიშვილი — 588, ა. შამენკო — 587, ი. შპაჩენკო (თბილისი, დოსააფი) — 586, ა. ტყაჩენკო — 585.

„ბაქცეულ ტახზე" სრულა. გ. თავდიდიშვილი (თბილისი, „დინამო") — 326, გ. ბექთაშვილი (თბილისი, „დინამო") — 326, ი. ქუსიკაშვილი (თბილისი, „დინამო") — 319, ჯ. თიკანაძე (ბათუმი, „დინამო") — 300, ა. გაზოვი (თბილისი, ასკ) — 297, დ. ლუაშვილი (თბილისი, „დინამო") — 296, ვ. მიტონიანი (თბილისი, ასკ) — 288, თ. ლეკიშვილი (თბილისი, ასკ) — 288, ლ. სიდამონიძე (თბილისი, ასკ) — 288, გ. ბოსტოლანაშვილი (თბილისი, დოსააფი) — 275.

„ბაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი ბასრულა. გ. თავდიდიშვილი — 226, გ. ბექთაშვილი — 226, ი. ქუსიკაშვილი — 223, გ. ბოსტოლანაშვილი — 223, ლ. სიდამონიძე — 223, დ. ლუაშვილი — 220, ჯ. თიკანაძე — 218, ა. გაზოვი — 217, ი. ციციშვილი (ქუთაისი, დოსააფი) — 216, თ. ლეკიშვილი — 215.

„ბაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასრულა. გ. თავდიდიშვილი — 232, ა. გაზოვი — 223, ი. ქუსიკაშვილი — 223, გ. ბექთაშვილი — 221, გ. ბოსტოლანაშვილი — 218, დ. ლუაშვილი — 216, ლ. სიდამონიძე — 209, ჯ. თიკანაძე — 209, თ. ლეკიშვილი — 206, ვ. მიტონიანი — 205.

„ბაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი და 25 ორმაგი გასრულა. გ. თავდიდიშვილი — 249, გ. ბექთაშვილი — 242, ი. ქუსიკაშვილი — 241, გ. ბოსტოლანაშვილი — 438, ა. გაზოვი — 437, ლ. სიდამონიძე — 434, დ. ლუაშვილი — 427, ჯ. თიკანაძე — 420, თ. ლეკიშვილი — 419, ვ. მიტონიანი — 416.

ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სრულა. ვ. პანკოვი — 568, ა. სტროევი — 568, ვ. ახალაძე — 566, ე. აბაჯანი — 563, გ. ბუჩუკური (თბილისი, „დინამო") — 563, თ. მგრელიშვილი — 561, ლ. ოსტრიკოვი — 558, ვ. სკრინიკოვი — 552, ა. ტყარჩკო — 547, გ. ღუდუშაური (სოხუმი, „დინამო") — 542.

ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სრულა. შ. ქველიაშვილი — 1148, ა. სტროევი — 1145, ვ. ახალაძე — 1143, ვ. პანკოვი — 1128, ლ. ოსტრიკოვი — 1109, ვ. სკრინიკოვი — 1104, ე. მარუთიანი — 1103, ე. აბაჯანი — 1096, ა. ღუდუშაური — 1087.

არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სრულა. შ. ქველიაშვილი — 560, ვ. ახალაძე — 552, ა. სტროევი — 547, ა. მალკინი (თბილისი, ასკ) — 541, ე. აბაჯანი — 538, თ. მგრელიშვილი — 537, ლ. ოსტრიკოვი — 536, გ. ბუჩუკური — 536, ვ. პანკოვი — 538, გ. ბექთაშვილი — 531.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სრულა. ვ. ახალაძე (თბილისი, ასკ) — 566, მ. პაპავა (სოხუმი, „დინამო") — 556, ო. კვირიკაშვილი (თბილისი, „დინამო") — 553, თ. კვანტალიანი (ქუთაისი, „დინამო") — 551, დ. ფილიევი (თბილისი, „დინამო") — 548, თ. სვინტრაძე (ქუთაისი, „დინამო") — 547, ე. გარტაშიანი (თბილისი, ასკ) — 545, ხ. სტრუკალოვი (თბილისი, ასკ) — 543, კ. ფოტიევი (თბილისი, ასკ) — 543, ა. შილოვი (თბილისი, „დინამო") — 541.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სრულა. ე. გარტაშიანი — 584, მ. პაპავა — 584, ა. შილოვი — 584, ვ. ლაფევსკი (ქუთაისი) — 581, კ. ფოტიევი — 580, დ. ფილიევი — 580, მ. ჟამურაშვილი (თბილისი, დოსააფი) — 578, ა. დიმელაშვილი (თბილისი, ასკ) — 578, ხ. სტრუკალოვი — 576, ა. ელისაკაშვილი (სოხუმი, „დინამო") — 571.

მსხვილკალიბრიანი რევოლვერ-პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სრულა. ო. კვირიკაშვილი — 589, მ. ჟამურაშვილი — 585, ე. გარტაშიანი — 585, მ. პაპავა — 584, დ. ფილიევი — 580, კ. ფოტიევი — 579, ვ. სალუქვაძე — 578, ხ. სტრუკალოვი — 578, ვ. ლაფევსკი — 575, თ. კვანტალიანი — 571.



„აკადემიკოსი“.

ფოტო ო. ბურბოვსკისა (ზაპოროჟიე).
„კომსომოლსკაია პრავდა“.

ინტერვიუ... პირობით

მიხეილ ტალი თავის თავზე და მეტოქეებზე

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — მ. ტალ — ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის დაწყების წინ აას-ის კორესპონდენტი შეხვდა ტალს და ესაუბრა მას.

— წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, — თქვა ტალმა საუბრის დასაწყისში, — კორჩნოისთან მატჩის წინ ბოლომდე გულახდილი ვერ ვიქნები. ვფიქრობ, გამიგებენ ჭადრაკის მოყვარულნი. ამიტომ შევთანხმდეთ: თუ საუბარი საჭიმანო საკითხს შეეხო, გავჩუმდები.

● კეთილი. პირველი შეკითხვა ასეთი იქნება: ახდენს თუ არა გავლენას თქვენს მომზადებაზე ის, რომ კორჩნოისთან შეხვედრების ანგარიშში უპირატესობა მის მხარეზეა?

— სწორედ რომ ახდენს. მატჩისთვის მზადებისას ყველაზე სერიოზული ყურადღება მიექცა ფსიქოლოგიურ მომენტებს. მიზანი ისაა, რომ კორჩნოისთან მატჩი ისე დავიწყო, თითქოს მასთან ადრე არ დავმარცხებულვარ. შევძლებ კი ამას? ვიმედოვნებ, რომ შევძლებ. ყოველ შემთხვევაში, ამ კითხვას პირველმა პარტიამ უნდა უპასუხოს.

● რა მიგაჩნიათ თქვენი მეტოქის ძლიერ მხარეებად?

— პირველ ყოვლისა, მისი ფენომენალური საბრძოლო უნარი. ლტოლვა გამარჯვებისკენ, ფანტასტიკური შეუპოვრობა და ჯადოსნური გამომგონებლობა დაცვაში, მძიმე პოზიციებში განსაკუთრებით კარგი თამაში — აი, არასრული ნუსხა იმ თვისებებისა, რომელთა გამოც კორჩნოი ძალიან საშიშ მეტოქედ ითვლება. სხვათა შორის, ჭადრაკი თავად მას პირველ ყოვლისა სპორტად მიაჩნია. ეს ნიშნავს, რომ კორჩნოისთვის მნიშვნელოვანია ბრძოლა, გამარჯვებისკენ მისწრაფება, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს, რომ მოგების დროს ეფექტური კომბინაციების მთხზველი მხატვარი იყოს. ამ მოკლე დახასიათებას, ბუნებრივია, არა აქვს ჩემი მეტოქის შემოქმედების სრული ანალიზის პრეტენზია.

● ამ ნათქვამიდან მაინც არ ჩანს, რატომ იყო თქვენთვის ესოდენ რთული დაბრკოლება კორჩნოის თამაში.

— დიახ, დიახ... ხომ გითხარით, ეს კორჩნოის თამაშის მხოლოდ მოკლე დახასიათება იყო... მერე... ჩვენი შეთანხმება...

● ხომ არ გსურთ დაუმატოთ რაიმე?

— ღმერთია მოწამე, მინდა, მაგრამ არ შემიძლია!

● მაშ, მეორე მატჩზე ვისაუბროთ.

— სიამოვნებით! ვფიქრობ, საიდუმლოს არ გავამჟღავნებ, თუ ვიტყვი, რომ ლარსენისა და სპასკის სტილში საერთო ბევრია. პირველ ყოვლისა, ესაა მრავალფეროვნება, უნივერსალობის უნარი. მართალია, ლარსენთან ეს უნივერსალობა მოულოდნელად იცვლება: არავინ იცის, რომელ სტილს აირჩევს იგი. ისეთ დიდ ავტორიტეტს, როგორიც ბოტვინიკია, მიაჩნია, რომ ლარსენს ორიგინალური იდეები არა აქვს, ხოლო გულერი და კორჩნოი ამ შეხედულებას არ იზიარებენ.

გულერთან მატჩის შემდეგ სპასკიმ ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა გულერთან ეთამაშა „ლარსენის მიხედვით“, ესე იგი, თავისუფლად, რისკიანად, ისე, რომ შეჯიბრების შერჩევით ხასიათზე არ ეფიქრა. ამასთან, სპასკი აღიარებს, რომ ლარსენისთვის დამახასიათებელია შემოქმედებითი თავისუფლება. ასეა თუ ისე, უეჭველია, რომ სპასკის ეყოლება ძალიან სახიფათო ოპონენტი, რომელიც არა მხოლოდ დარწმუნებულია თავის ძალაში, არამედ უფლებაც აქვს ჰქონდეს ეს რწმენა.

● მაგრამ ლარსენსა და სპასკის შორის განსხვავებაც ხომ არის?

— რა თქმა უნდა, და როგორც ყოველთვის ხდება დიდ მოჭადრაკეებთან, ძალიან დიდი განსხვავებაც. სპასკის, მაგალითად, უფრო შეზღუდული, სამაგიეროდ, ღრმად დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი აქვს. დებიუტებში ლარსენს მრავალფეროვნება უყვარს, მაგრამ აქ მისი თამაში სიღრმით მუდამ როდი გამოირჩევა.

სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ ეს თვალსაზრისი მოძველებული იყოს. ამ ბოლო ხანს ლარსენი ძალიან გამოიცვალა. სამი წლის წინათ ჩვენ მატჩი ვითამაშეთ და იგი საოცრად ურწმუნოდ თამაშობდა დაბოლოებებს. ახლა ლარსენი, რა თქმა უნდა, მსოფლიოს საუკეთესო „ტექნიკოსთა“ ჯგუფში შედის.

ამრიგად, ჩემთვის მოულოდნელი არ იქნება, თუ დებიუტებში ახალ ლარსენს ვიხილავთ. ამას თუ დავუმატებთ, რომ დანიელის შემოქმედებაში სტრატეგია ადრეც არასოდეს ყოფილა სუსტი ადგილი, მაშინ ნათელია: ამჟამინდელი „მოღრენიზებული“ ლარსენისთვის გასაღების მოძებნა ძალიან ძნელი იქნება.

● ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მოგვალ ბრძოლაში უპირატესობას ლარსენს ანიჭებთ?

— არავითარ შემთხვევაში! პირიქით, მიმაჩნია, რომ სპასკის რამდენადმე მეტი შანსი აქვს — იგი უფრო ეშვიათად ცდება, ხოლო მატჩის დაძაბულ ბრძოლაში ამ გარემოებას გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლია. საერთოდ, სპასკი კლასიკური სტილისკენ მიიღტვის და თავისებური საჭადრაკო მონდომებით გამოირჩევა. ეს თვისება ბევრჯერ დახმარებია მას „მოღლვარების“ დროს და ვფიქრობ, ამჯერადაც ხელს გაუმართავს.

ჩემპიონია ლ. კავალეკი

15 ქულა 19-დან

ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეთა წლევანდელ პირველობას, გარდა ჩემპიონისა, უნდა დაესახელებინა ოლიმპიური ნაკრები (6 კაცი) და ევროპის ჩემპიონატში მონაწილე გუნდის შემადგენლობა (10 კაცი).

ბრძოლაში 20 მოჭადრაკე ჩაება. I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა კავალეკმა — 15 ქულა. დიდოსტატმა პორტმა და ოსტატმა სმეკალმა 14-14 ქულა მოაგროვეს. კოეფიციენტთა ცხრილით დიდოსტატი III ადგილზე აღმოჩნდა.

შემდეგ მოდიან: დიდოსტატი ფილიპი — 13 ქულა, დიდოსტატი პახმანი, საერთაშორისო ოსტატი იანსა — 12-12, ოსტატი ავგუსტინი — 11, ოსტატები იანატა, პლანეტკა და ფაშიანი — 9,5-9,5.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ოკილისის სპორტულ ბაზაზე

წყალბურთი. ზამთრის აუზი. 26-28 ივნისი. საქართველოს ჩემპიონატი. დასაწყისი 17 ს.

მძლეოსნობა. „დინამოს“ სტადიონი. 26 ივნისი. დინამოელთა საქალაქო პირველობა. დასაწყისი 16 ს.

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 27 ივნისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ოშკარ-ოლა). დასაწყისი 18 ს. 30 წ. „დინამოს“ სტადიონი. 28 ივნისი. სსრ კავშირის თასი. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (როსტოვი). დასაწყისი 18 ს.

მესამე რაუნდი ასე წარიმართა

ევროპის ზონაში დევისის თასის გათამაშების III წრის (ნახევარფინალური) მატჩებიდან მხოლოდ სსრ კავშირი—იტალიის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის შედეგი შეგატყობინეთ. თუმცა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, დაწვრილებითი ცნობა არც ამ მატჩის შესახებ გვქონია. ამჯერად ყველა ცნობას გაწვდით.

„ა“ ჯგუფი

ესპანეთი — დიდი ბრიტანეთი 4:1. გისბერტი — ჰატჩინსი 6:1, 6:3, 6:1; სანტანა — კოქსი 6:1, 6:3, 6:3; სანტანა, ორანტესი — კოქსი, ვილსონი 4:6, 6:3, 6:3, 6:3; სანტანა — ჰატჩინსი 6:4, 6:3, 6:4; გისბერტი — კოქსი 6:4, 3:6, 3:6, 3:6.

იტალია — სსრ კავშირი 3:2. მალიგანი — მეტრეველი 3:6, 1:6, 3:6; პიეტრანჯელი — ლეიუსი 4:6, 6:4, 6:1, 6:2; პიეტრანჯელი, მალიგანი — მეტრეველი, ლიხაჩოვი 6:4, 4:6, 6:2, 6:4; პიეტრანჯელი — მეტრეველი 0:6, 0:6, 1:6; მალიგანი — ლეიუსი 6:2, 6:4, 7:5.

„ბ“ ჯგუფი

გფრ — ჩეხოსლოვაკია 4:1. ბუნგერტი — კოდეში 6:2, 6:4, 6:0; ბუდინგი — ბოლოჩეკი 6:1, 3:6, 2:6, 3:6; ბუნგერტი, ბუდინგი — კოდეში, ბოლოჩეკი 5:7, 6:1, 7:9, 6:3, 12:10; ბუდინგი — კოდეში 8:6, 6:3, 6:3; ბუნგერტი — ბოლოჩეკი 8:6, 6:3, 6:4.

რუმინეთი — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. იმის გამო, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამეფებულია რასობრივი დისკრიმინაცია, რუმინელებმა უარი თქვეს ამ ქვეყნის ჩოგბურთელებთან შეხვედრაზე. ასე რომ, სამხრეთაფრიკელები გავიდნენ ევროპის ზონის „ბ“ ჯგუფის ფინალში.

დღეს

თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში გაიმართება საქართველოსა და იაპონიის ძიუდოისტთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა.

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

სურათზე: იაპონელი ძიუდოისტები თბილისში ჩამოსვლისას. ფოტო ვ. ზარგარიანისა.

მარცხი მაღამწყვეტ შეხვედრაში

ვინსკი, 24 ივნისი. (ტელეფონით). მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას ემსახურებოდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების აქ გამართული ტურნირი, რომელშიც გამოდიოდნენ სსრ კავშირის (ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები კოლექტივები), აშშ-სა და იუგოსლავიის სპორტსმენები.

შეჯიბრების ბოლო დღეს უნდა გაირკვეა გამარჯვებულის საკითხი. I ადგილისთვის პრეტენზიას აცხადებდნენ სსრ კავშირიაა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები. მათი დღევანდელი გადამწყვეტი შეხვედრა მასპინძლების უპირატესობით დაიწყო: პირველ წუთებზე ისინი დაწინაურდნენ — 10:2. შემდგომ უფრო გააქტიურდნენ ამერიკელი კალათბურთელები და პირველი ტაიმიც მათ მოიგეს — 44:37.

შესვენების შემდეგ წინ კვლავ ოლიმპიური თამაშების უცვლელი ჩემპიონები იყვნენ. მხოლოდ ერთხელ მოხდა ისე, რომ საბჭოთა კალათბურთელებს ჰქონდათ დაწინაურების აშშუალება, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს.

მატჩი მოიგეს (84:78) და მასთან I ადგილი მოიპოვეს ამერიკელებმა. III ადგილი მოიხვეჭა სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელმაც სძლია იუგოსლავიის გუნდი — 79:73 (38:37).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04139